სდასუ

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

დამტკიცებულია:

რექტორის ბრძანება #131; 27.12.2023 წ.

საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები

2023

მუხლი 1: ზოგადი დებულებები

წინამდებარე დოკუმენტი არეგულირებს შპს ,,შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის“ შემდეგში - უნივერსიტეტი, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიისა და მექანიზმის, შეფასებისთვის აუცილებელი ნაბიჯებისა და პროცედურების განსაზღვრას. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზანია სტუდენტის მიერ პროგრამის დაგეგმილ სწავლის შედეგებზე გასვლისა და სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება, შეფასების ანალიზის შედეგების საგანმანათლებლო პროგრამის უწყვეტი განვითარებისთვის გამოყენება.

მუხლი 2: საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ციკლი

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება უწყვეტი ციკლური პროცესია, რომელიც მოიცავს დაგეგმვის, შეფასების, ანალიზისა და განახლების ფაზებს და გამოიყენება სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის გაუმჯობესებისა და საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისათვის. დაგეგმვის ფაზა მოიცავს კურიკულუმის ანალიზისა და სწავლის შედეგების შეფასების გეგმის, ასევე სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის პროცესებს. შეფასების ფაზის დროს ხდება სტუდენტთა მიერ საგანამანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება; ანალიზის ფაზის დროს კი შეფასებების შესახებ მოპოვებული ინფორმაციისა და მონაცემების ანალიზი და ინტერპრეტაცია, რის შედეგადაც შესაძლებელია განხორციელდეს ცვლილებები - განახლების ფაზა.

მუხლი 3: კურიკულუმის ანალიზი - სწავლის შედეგების (კურიკულუმის) რუკის აგება

მას მერე, რაც ჩამოვაყალიბებთ პროგრამის სწავლის შედეგებს, უნდა დავრწმუნდეთ, რომ პროგრამის შინაარსი უზრუნველყოფს იმას, რომ სტუდენტებმა მიაღწიონ აღნიშნულ სწავლის შედეგებს. ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას, თავიდან იწერება სწავლის შედეგები, ხოლო შემდეგ იქმნება პროგრამის შინაარსი, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშული სწავლის შედეგების მიღწევას. არსებული პროგრამის სწავლის შედეგების განახლებისას კი, ხდება არსებული პროგრამის შედეგების გაანალიზება და იმის დადგენა, თუ რამდენად აძლევს აღნიშნული პროგრამის შინაარსი სტუდენტებს საშუალებას მიაღწიონ სწავლის შედეგებს, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმის შემუშავების პირველი ეტაპია პროგრამის სწავლის შედეგების, ე.წ. კურიკულუმის რუკის აგება. სასწავლებელში შემუშავებულ/განხორციელებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამას თან ერთვის სწავლის შედეგების რუკა.

კურიკულუმის რუკა არის ის ინსტრუმენტი, რომელსაც გამოიყენებს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი სტუდენტის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლის დაგეგმილი შედეგების მიღწევისთის. პროგრამის ანალიზისთვის გამოიყენება ბადე, რომელიც მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებისა და საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების ჩამონათვალს.

რუკაზე აღინიშნება, თუ რომელი სასწავლო კურსის ფარგლებში მიიღწევა პროგრამის კონკრეტული სწავლის შედეგი.

კურიკულუმის რუკაზე (დანართი 1) აღინიშნება, თუ რომელი სავალდებულო სასწავლო კურსების მეშვეობით აღწევს სტუდენტი პროგრამის სწავლის ამა თუ იმ შედეგს.

კურიკულუმის რუკა ასახავს ლოგიკურ ბმას საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელ კომპონენტებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის.

კურიკულუმის რუკაზე უნდა აღინიშნოს, თუ რა დონეზე მიიღწევა პროგრამის სწავლის შედეგის განმტკიცება კონკრეტული კურსის ფარგლებში - გაცნობა, გაღრმავება, იხ. ნიმუში:

დანართი 1

სასწავლო კურსი	პროგრამის სწავლის შედეგები			
	1	2	3	4
1	გაცნობა		გაცნობა	
2		გაცნობა		
3	გაღრმავება		გაღრმავება	გაცნობა
4	განმტკიცება	გაღრმავება		გაღრმავება
5		განმტკიცება	განმტკიცება	განმტკიცება

აუცილებელია, რომ თითოეული სავალდებულო სასწავლო კურსი სწავლის ერთ შედეგზე მაინც გადიოდეს. ასევე თითოეული სწავლის შედეგი უნდა ვითარდებოდეს სამივე დონეზე. სტუდენტი აღწევს პროგრამის სწავლის შედეგს, როდესაც სწავლის შედეგი ვითარდება მესამე, განმტკიცების დონეზე. კურიკულუმის რუკის შედგენის შედეგად განისაზღვრება, თუ კონკრეტულად რომელი სასწავლო კურსის ფარგლებში აღწევს სტუდენტი პროგრამის სწავლის თითოეულ შედეგს. შესაბამისად, წინასწარ ცნობილია, თუ როდის მიიღწევა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის თითოეული შედეგი და შესაძლებელია შეფასების მეთოდის განსაზღვრა.

კურიკულუმის რუკის შემუშავების მერე უნდა მოხდეს მისი ანალიზი და იმის დადგენა, უზრუნველყოფს თუ არა კურიკულუმი პროგრამის სწავლის შედეგების განვითარებას სტუდენტებში. რუკაზე ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, თუ რამდენი სასწავლო კურსი ავითარებს პროგრამის თითოეულ სწავლის შედეგს და დადგინდეს, რამდენად ადეკვატურია სასწავლო კურსების ეს რაოდენობა; ბევრი სასწავლო კურსი ხომ არ ავითარებს ერთსა და იმავე სწავლის შედეგს ან პირიქით, იმდენად მცირე რაოდენობის სასწავლო კურსებით ხდება პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)ის განვითარება, რომ საგანთა ეს რაოდენობა შეიძლება არ აღმოჩნდეს საკმარისი ამ სწავლის შედეგის მისაღწევად; ხომ არ გვაქვს ისეთი სავალდებულო სასწავლო კურსი პროგრამაში, რომელიც პროგრამის არც ერთ სწავლის შედეგს არ აღწევს/ავითარებს, ხომ არ არის პროგრამაში ისეთი სწავლის შედეგი, რომელსაც არც ერთი სასწავლო კურსი ან/და სხვა აქტივობა ვერ აღწევს/ავითარებს.

პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი სამივე დონეზე უნდა განვითარდეს, ასევე შესაძლებელია, რომ ერთი სასწავლო კურსი ახდენდეს, რომელიმე სწავლის შედეგის გაცნობასა და გაღმავებას (1/2) ან გაღრმავებასა და განმტკიცებას (2/3). კურიკულუმის რუკის შედგენასა და ანალიზში პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)თან ერთად ჩართული იყოს თითოეული სასწავლო კურსის ხელმძღვანელიც.

მნიშვნელოვანია, რომ თითოეული სასწავლო კურსის ლექტორმა იცოდეს, თუ რა როლი აქვს მის საგანს მთლიან პროგრამაში. ამასთან, როდესაც პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი ერთად განიხილავს პროგრამის სწავლის შედეგებს და კურიკულუმის რუკას, ხდება მნიშვნელოვანი საკითხების გაანალიზებაც. მაგალითად რა სწავლის შედეგებზე გვინდა რომ გავიდნენ სტუდენტები პროგრამის დასასრულს, რომელ სასწავლო კურსში რა ისწავლება და რა დონეზე, ხომ არ არის გადაფარვები სასწავლო კურსებში, ან ხომ არაა პროგრამიდან გამორჩენილი ისეთი საკითხები, რომელთა სწავლებაც მნიშვნელოვანია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად; რა თანმიმდევრობით ისწავლება ესა თუ ის საკითხი პროგრამაში.

მუხლი 4. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები

კურიკულუმის რუკაზე მუშაობის დასრულების შემდეგ უნდა შემუშავდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომელიც ასახავს, თუ როდის, რომელი სასწავლო კურსის ფარგლებში და ვის მიერ მოხდება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება.

საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის შეფასებისთვის სავალდებულოა, გამოიყენებოდეს შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები (სულ მცირე ერთი პირდაპირი და ერთი არაპირდაპირი მეთოდი). შეფასების პირდაპირი მეთოდი აფასებს სტუდენტის ცოდნას მის მიერ შესრულებული დავალების საფუძველზე. მაგალითად: გამოცდა, ტესტი, ესსე, პრეზენტაცია და სხვ. შეფასების პირდაპირი მეთოდი ირჩევა იმ სასწავლო კურსის შეფასების მეთოდებიდან, რომელი სასწავლო კურსიც განსაზღვრულია კურიკულუმის რუკაში მოცემული სწავლის შედეგის განმტკიცების დონისთვის. პროგრამის სწავლის შედეგები ფასდება იმ სასწავლო კურსის ფარგლებში და იმ სასწავლო კურსის ერთი კონკრეტული შეფასების მეთოდით, რომლითაც სტუდენტი გადის პროგრამის სწავლის შედეგზე. მნიშვნელოვანია, რომ შეირჩეს ერთი კონკრეტული შეფასების მეთოდი. მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო კურსით განსაზღვრული შეფასების მეთოდი შეესაბამებოდეს პროგრამის სწავლის შედეგის შინაარსს.

შეფასების არაპირდაპირი მეთოდი წარმოადგენს დაინტერესებული მხარეების (სტუდენტი, კურსდამთავრებული, აკადემიური პერსონალი, დამსაქმებელი) მიერ სწავლის შედეგის მიღწევასთან დაკავშირებულ აღქმასა და მოსაზრებას. შეფასების არაპირდაპირი მეთოდი შესაძლოა იყოს დამსაქმებელთა გამოკითხვა, რომლის ფარგლებშიც დამსაქმებელი აფასებს სტუდენტის/კურსდამთავრებულის მიერ კონკრეტულ სწავლის შედეგთან დაკავშირებული უნარების ფლობას; სტუდენტის/კურსდამთავრებულის მიერ თვითშეფასება - რამდენად მიაღწია სტუდენტმა სწავლის შედეგს. გამოკითხვის ფორმები და შეფასების ინსტრუმენტები შემუშავდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ კონკრეტულად სწავლის შედეგის შეფასებისთვის.

შეფასების პირდაპირი მეთოდისგან განსხვავებით, არაპირდაპირი მეთოდი არის უფრო მეტად სუბიექტური. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი აღიწერება პროგრამის სწავლის შედეგების გეგმაში, სადაც მოცემულია

ინფორმაცია, თუ როდის, ვის მიერ, შეფასების რა მეთოდების გამოყენებით ფასდება პროგრამის სწავლის თითოეული შედეგის მიღწევა. პროგრამის სწავლის შედეგები ფასდება შეფასების პირდაპირი მეთოდებით ყოველწლიურად, კურიკულუმის რუკით განსაზღვრულ დროს. საგანამანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი მეთოდების გაწერა შესაძლებელია კურიკულუმის რუკაში, ან/და პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში (შეფასების გეგმის ჩარჩო - დანართი 2).

დანართი 2.

სასწავლო კურსი	პროგრამის სწავლის შედეგები			
	1	2	3	4
1	გაცნობა		გაცნობა	
2		3		გაცნობა
3	გაღრმავება		გაღრმავება	გაღრმავება
4	განმტკიცება ტესტი	გაღრმავება		განმტკიცება პრეზენტაცია
5		განმტკიცება პრაქტიკის ანგარიში/საბაკალავრო ნაშრომის დაცვა	განმტკიცება ესე	

მუხლი 5: სამიზნე ნიშნულის განსაზღვრა

პროგრამის სწავლის თითოეული შედეგისთვის უნდა განისაზღვროს სამიზნე ნიშნული, რომელიც გვიჩვენებს თუ რა დონეზე მიაღწევს სტუდენტი პროგრამის ამა თუ იმ სწავლის შედეგს. სამიზნე ნიშნული უნდა განისაზღვროს, როგორც პროგრამის სწავლის შედეგის შეფასებისთვის - თუ რა შეფასება ითვლება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის მიღწევად, ისე სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის მიღწევისათვის - სტუდენტთა რა ნაწილმა უნდა მიიღოს აღნიშული შეფასება. ამასთან, უნდა განისაზღვროს, თუ ჯგუფის სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობის რამდენმა პროცენტმა შესაძლოა მიიღოს მინიმალური შეფასება, რამდენმა კი - უმაღლესი; შესაძლებელია გაუსის ნორმალური განაწილების პრინციპით ხელმძღვანელობა. სწავლის შედეგის მიღწევის სამიზნე ნიშნულის განსაზღვრა წარმოადგენს პროგრამის ხელმძღვანელისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პრეროგატივას. სამიზნე ნიშნულების განსაზღვრისას მხედველობაში უნდა მივიღოთ შეფასების ტენდენცია წარსულში/წარსულის გამოცდილება არსებობის შემთხვევაში.

მუხლი 6: პროგრამის სწავლის შედეგის მიღწევის შეფასება

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება არის მუდმივი პროცესი, რომლის დროსაც დგინდება თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა პროგრამის სწავლის შედეგებს და როგორც შეიძლება გაუმჯობესდეს პროგრამა. პროგრამის ყველა სწავლის შედეგი უნდა შეფასდეს პროგრამის დასასრულს. შესაბამისად, მას შემდეგ რაც დავრწმუნდებით, რომ კურიკულუმი იმგვარად არის აგებული, რომ ის უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას სტუდენტების მიერ, უნდა ჩამოყალიბდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა. სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში უნდა აისახოს, თუ

როგორ შეფასდება პროგრამის სწავლის შედეგები პროგრამის დასასრულს. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შეფასდეს იმ სასწავლო კურს(ებ)ში და/ან აქტივობებში, რომლებშიც კურიკულუმის რუკის მიხედვით ხდება პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)ის განმტკიცება. შესაძლებელია ერთ სასწავლო კურსში პროგრამის რამდენიმე სწავლის შედეგი შევაფასოთ.

პროგრამის სწავლის შედეგის შეფასებისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას დარგის სფეციფიკა, რის საფუძველზეც დგება ადეკვატური ფორმები და მეთოდები, რომლებიც სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასების საშუალებას იძლევა.

სწავლის შედეგების შეფასების გეგმა უნდა მოიცავდეს ინფორმაციას, თუ როგორ შეფასდება პროგრამის სწავლის შედეგი პროგრამის დასასრულს. მნიშვნელოვანია, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება მოხდეს იმ სასწავლო კურს(ებ)ში, რომლებშიც კურიკულუმის რუკის მიხედვით ხდება პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)ის განმტკიცება. ასევე, შესაძლებელია ერთი სასწავლო კურსი მოიცავდეს რამდენიმე სწავლის შედეგის შეფასებას. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში სწავლის შედეგების შესაფასებლად, როგორც წესი, გამოიყენება სამაგისტრო და სადისერტაციო ნაშრომებში. საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად შესაძლებელია გამოყენებული იქნეს შემაჯამებელი კურსები (capstone course).

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისათვის აუცილებელია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რელევანტური გეგმის შედგენა. სწორედ აღნიშნული გეგმის თანმიმდევრული და სრულფასოვანი იმპლიმენტაცია გვაძლევს სწავლის შედეგების შეფასებისა და გაზომვის შესაძლებლობას და გვპასუხობს არამხოლოდ იმას არის თუ არა პროგრამის სწავლის შედეგი ადეკვატური არამხოლოდ პროგრამაში შემავალ სასწავლო კურსებთან მიმართებით, არამედ პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებთან და უნდა ადასტურებდეს განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება უნდა მოხდეს დარგის სპეციკიდიდან გამომდინარე და მოიცავდეს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, რაც იძლევა შესაძლებლობას შეფასდეს სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესში მონაწილეობს, როგორც პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ისე ფაკულტეტის ადმინისტრაცია და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებაზე პასუხისმგებელია პროგრამის განვითარების მუდმივმოქმედი ჯგუფი. შეფასების პროცესის პირველ ეტაპს წარმოადგენს მონაცემთა შეგროვება, კერძოდ, სტუდენტთა მიერ კურიკულუმის რუკით განსაზღვრული სასწავლო კურსის ფარგლებში მიღებული შეფასებების მოგროვება.

მუხლი 7: საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების უკუკავშირი

შემდეგი ეტაპია მიღებული შედეგების შედარება სამიზნე ნიშნულებთან და შედეგების ანალიზი. მნიშვნელოვანია შედეგების გამოყენება საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის.

მას შემდეგ, რაც შეგროვდება მონაცემები - პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების შედეგები - განხორციელდება შედეგების ანალიზი და ინტერპრეტაცია მათი სამიზნე ნიშნულებთან შედარების შედეგად. სამიზნე ნიშნულებიდან დიდი გადახრის შემთხვევაში შესაძლებელია საჭირო გახდეს პროგრამის ან მისი შემადგენელი კომპონენტების მოდიფიცირება. მაგ: სამიზნე ნიშნულის მიხედვით, სტუდენტთა 80 % - ს უნდა მიეღო უმაღლესი შეფასება (მაგალითისთვის, 15-20 ქულა 20 ქულიან შეფასების კომპონენტში), სწავლის შედეგების ანალიზი კი გვაჩვენებს, რომ მხოლოდ სტუდენტთა 40 %-მა მიიღო ეს შეფასება. სამიზნე ნიშნულებიდან 20%-იანი გადახრა მაჩვენებელია იმისა, რომ პროგრამის განვითარებისთვის გარკვეული ნაბიჯებია გადასადგმელი და ცვლილებებია დასაგეგმი. სწავლის შედეგები ფასდება დინამიკაში, დაკვირვების საფუძველზე, რადგან ერთი წლის მონაცემის ანალიზი შესაძლოა არ იძლეოდეს საკმარის ინფორმაციას. ამასთან, უნდა გამოირიცხოს სხვადასხვა გარე ფაქტორი, როგორებიცაა ძლიერი ან სუსტი ნაკადი. სწავლის შედეგების შეფასების ანალიზის დროს, როდესაც აღინიშნება მნიშვნელოვანი გადახრა სამიზნე ნიშნულებიდან, ასევე მნიშვნელოვანია შეფასების შედეგების ანალიზთან ერთად გამოვიყენოთ სტუდენტების ფოკუსჯგუფი, ჩაღრმავებული ინტერვიუ, გავესაუბროთ სტუდენტებს, რათა მოვახდინოთ სიღრმისეული ანალიზი და აღმოვაჩინოთ შესაძლო პრობლემა/გასაუმჯობესებელი საკითხი. სწავლის შედეგების შეფასებისა და მისი შედეგად შესაძლებელია გამოიკვეთოს, რომ პროგრამის სწავლის შედეგი არ არის სათანადოდ ფორმულირებული, ან კიდევ საერთოდ არ არის მნიშვნელოვანი. ამ შემთხვევაში, გამოსავალი შესაძლოა იყოს სწავლის შედეგის სხვაგვარად ფორმულირება, შეცვლა ან საერთოდაც ამოღება პროგრამის სწავლის შედეგებიდან. შესაძლებელია, სტუდენტებს სწავლის შედეგის სათანადო დონეზე მისაღწევად კურიკულუმი არ სთავაზობს მოცემული კომპეტენციის განსავითარებელ სათანადო რაოდენობის სასწავლო კურსებს, ან კიდევ - სათანადო დონეზე. სწავლის შედეგის მიღწევის შეფერხება შესაძლოა გამოწვეული იყოს იმით, რომ სტუდენტებს სჭირდებათ მეტი პრაქტიკა; შესაცვლელია სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები, ან ლექტორის მიდგომები. ერთ-ერთი საყურადღებო საკითხია შეფასების მეთოდები - რამდენად შესაფერისი შეფასების მეთოდია არჩეული, რამდენად კარგად არის შედგენილი თავად შეფასების ინსტრუმენტი - კარგი პრაქტიკაა თავად შეფასების ინსტრუმენტის ანალიზი.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას შედეგების ანალიზისთვის საჭიროა სტუდენტების მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დონის დადარება სამიზნე ნიშნულებთან. შეფასების შედეგების დამუშავებასა და ანალიზს ახორციელებს ფაკულტეტი, ხოლო დამუშვებული შედეგების განხილვა ხდება ფაკულტეტის/წარმომადგენლობით საბჭოზე, რის შემდეგაც საჭიროების შემთხვევაში იგეგმება შესაბამისი მაკორექტირებელი ღონისძიებებისა და ჩარევების განხორციელება.

დოკუმენტი (სწავლების შეფასების მექანიზმები) შემუშავებულია სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის სახელმძღვანელოზე, დაყრდნობით.